რა ბედი ელის ლარს?

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 29 დეკემბერი – 4 იანვარი, № 52, 2008

ლადო პაპავა:

– დავიწყებ ინფლაციის თემით და გავიხსენებ 2007 წლის ბოლოს ჩემს მიერ გაკეთებულ პროგნოზსს, რომელიც გამოვთქვი ახლად გაპრემიერებული ლადო გურგენიძის მიერ პარლამენტში 2008 წლის ბიუჯეტის შემოტანის დროს. მაშინ ვთქვი, რომ თუ საქართველოში 2008 წლის განმავლობაში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი არ იქნება 30-40%-ზე მეტი, ჩავთვალოთ, რომ საქართველო გადარჩება მეთქი. მაშინ ამ განცხადებას უმრავლესობა კრიტიკულად და სკეპტიკურად შეხვდა, მაგრამ ჩემი ეს შეხედულება ეფუძნებოდა იმ პოლიტიკას, რომელის გატარებასაც გეგმავდა მთავრობა 2008 წელს. აქ იგულისხმებოდა როგორც ევროობლიგაციების გამოშვება, ასევე ისიც, რაც შემდგომ გაკეთდა ეროვნული ბანკის მისამართით და როგორი ხარჯვითი პოლიტიკაც იყო გათვალისწინებული ბიუჯეტში. რა თქმა უნდა ომის პროგნოზირება შეუძლებელი იყო, თუმცა იკვეთებოდა გლობალური ეკონომიკური კრიზისის კონტურები. არაერთხელ მითქვამს და მათ შორის თქვენი გაზეთის მეშვეობითაც, რომ საქართველოში სტატისტიკა არ არსებობს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის პუბლიკაციით 2008 წლის ოქტომბერში წლიური ინფლაცია ყოფილა 7%-ის დონეზე, ხოლო ნოემბრის დონის ინფლაცია 6,3%. სწორედ ნოემბრის თვეში მოხდა ის 15%-იანი ნახტომისებური ვარდნა, რომელიც განიცადა ლარმა ერთ დღეში. ამას მოჰყვა სერიოზული ნახტომი ფასების ზრდაში და, რა თქმა უნდა საქართველოში მთავრობის გარდა ვერავინ დაიჯერებს, რომ ნოემბრის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 6,3% იყო. ფაქტობრივად ის სულ ცოტა სამჯერ მეტია. ინფლაციის რეგულირების ინსტრუმენტი, რომელიც მთავრობას აქვს, ეს არის ყველაზე მახინჯი ინსტრუმენტი და გამოიხატება სტატისტიკური ინფორმაციის გაყალბებაში. ეს არის ყველაზე ცუდი და ყველაზე შემაშფოთებელი.

ჩემი პროგნოზი საბედნიეროდ გამართლდა და მართლაც საქართველოში წლიურმა ინფლაციამ არ გადააჭარბა 30-40%-ს. გადავრჩით, მაგრამ ის, რომ

ქვეყანაში ინფლაცია რამდენჯერმე მაღალია, ვიდრე ამას გვიფიქსირებენ, იმედია ამაში მკითხველი დამეთანხმება.

– რას იტყვით ეროვნულ ვალუტატან დაკავშირებით? როგორ შეაფასებდით ლარის მდგომარეობას 2008 წლის განმავლობაში?

– აქ მოხდა ყველაზე ცუდი რამ. თუ აქამდე საქართველო დაავადებული იყო ჰოლანდიური დაავადებით, ანუ უცხოური ვალუტა დიდი რაოდენობით შემოდიოდა ქვეყანაში, უკვე აგვისტოს მეორე ნახევრიდან მოყოლებული უცხოური ვალუტის შემოდინება საგრძნობლად შემცირდა, რამაც დააყენა ლარის დევალვაციის საკითხი. ეს ობიექტური მოვლენაა, მაგრამ ის პოლიტიკა, რომელიც წარმართა ეროვნულმა ბანკმა, როდესაც შეეცადა შემოდგომაზე ხელოვნურად შეეფერხებინა ლარის დევალვაცია, ხოლო შემდეგ ნახტომისებური ვარდნა განახორციელა 7 ნოემბერს, ეს იყო სერიოზული შეცდომა. ეროვნულმა ბანკმა 7 ნოემბრის შემდეგაც მსგავსი ქმედების განხორციელება განარგძო. 140 მილიონო დოლარი დახარჯა რეზერვებიდან, იმისთვის რათა 1,65 კურსი ხელოვნურად შეენარჩუნებინა. ესეც რა თქმა უნდა შეცდომების გაგრძელება გახლდათ.

– როგორ პროგნოზს გააკეთებდით მომავალი წლისათვის? როგორი იქნება 2009 წელი როგორც ინფლაციის ასევე ლარის დევალვაციის თვალსაზრისით?

– ინფლაციური პროცესები გაგრძელდება, რადგან სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არის. ჩვენ გვისაუბრია იმაზეც, რომ ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების რეფინანსირების საკითხს საკმაოდ აქტიურად მოკიდა ხელი და საპროცენტო განაკვეთი 9%-იდან 8%-მდე შეამცირა. აქედან გამოდმინარე ფულის მასა გაიზრდება და ეს ინფლაციას უწყობს ხელს. მთავრობის ხარჯებიც იქნება ინფლაციის მასტიმულირებელი, რადგან სხვა გზა არა აქვს და სერიოზული პრობლემებია წამოჭრილი იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით. თუმცა ამ ინფლაციური პროცესების შემაფერხებელი შეიძლება გახდეს მსოფლიო ბაზარზე სხვადასხვა, მათ შორის სასურსათო პროდუქტებზე ფასების კლება, რომლის პროგნოზიც კეთდება გლობალური ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე. ასე რომ, ინფლაციური პროცესები გაგრძელდება, თუმცა შესაძლოა ის ისეთი ღრმა არ იყოს, როგორიც 2008 წელს.

რაც შეეხება ლარის გაცვლით კურსს, შემიძლია გითხრათ, რომ სავალუტო კრიზისის საფრთხე ქვეყანაში არ არსებობს, რადგან ძალიან დიდი

რაოდენობით უნდა შემოვიდეს დახმარებები დონორი ქვეყნებიდან და საერთასორისო ინსტიტუტებიდან. თუმცა, მე ნამდვილად არ მინდა ხელისუფლებამ გაიმეოროს ის შეცდომა, რომელიც დაუშვა 2008 წლის 7 ნოემბერს და მინდა მჯეროდეს, რომ ლარის დევალვაციაში ნახტომები გამორიცხული იქნება. თუ ეს განმეორდა ეს იქნება ძალიან სერიოზული დარტყმა ეკონომიკაზე. ის ინფლაციასაც ძალიან შეუწყობს ხელს და პრაქტიკულად ხელისუფლება თავის თავს თავად გამოუთხრის ძირს.

დიმიტრი ტიკარაძე